საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/95 „17" ივლისი 2020 წ.

# განკარგულება

**„თბილისის სააპელაციო სასამართლოს პალატებისა და საგამოძიებო კოლეგიის შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 22 მაისის №1/41 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 26 ივნისის №1/79-№1/81 განკარგულებებით რაიონული (საქალაქო) სასამართლოების 3 მოსამართლე დაინიშნა თბილისის სააპელაციო სასამართლოში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, „თბილისის სააპელაციო სასამართლოს პალატებისა და საგამოძიებო კოლეგიის შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 22 მაისის №1/41 განკარგულების პირველ პუნქტში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) „ა" ქვეპუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის 22-ე პუნქტი:
„22. ნინო შარაძე.";

ბ) „ბ" ქვეპუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის 33-ე პუნქტი:
„33. ეკა ზარნაძე.";

გ) „გ" ქვეპუნქტის მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„9. გიორგი ქაშაკაშვილი".

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი